შეთანხმების აქტი

სოფელი ეწერი

10 აპრილი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწრის საჯარო (ს/კ232004719) მისი დირექტორის დათო არაბიძის სახით და მეორე მხრივ ფ/პ ნიკოლოზ ბოგვერაძე (პ/ნ 21001013705) ვდებთ ამ შეთანხმების აქტს სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეული შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2019 წლის 15 მარტს დადებული N 7 ხელშეკრულება გაგრძელდეს და შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.ხელშეკრულების 1- ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1.1„ხელშეკრულების საგანია ეწრის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული შენობის გარე და შიგა ელექტროენერგიის გამანაწილებელი და მართვის მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შესყიდვა საკუთარი მასალებით (CPV 51112000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ".

2.ხელშეკრულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

2.1 მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარს.

3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

3.1 „ მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს 2019 წლის 15 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით."

4 .ხელშეკრულების მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით

4.1 „ ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით".

სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.
წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2019 წლის 15 მარტს დადებული N7 ხელშწეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:
სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის
სოფელ ეწრის საჯარო სკოლის
დირექტორი: /დ. არაბიძე/

დათო არაბიძე

შემსრულებელი:
ფ/პ /ნ. ბოგვერაძე

ნიკოლოზი ბოგვერაძე

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N190410377 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 15.04.2019 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | თამარ ხურციძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქალაქი თერჯოლა, ქუჩა რუსთაველი, №109 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 598160002 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 86435309114019 |

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცხრამეტი წლის თხუთმეტ აპრილს **მე, საქართველოს ნოტარიუსს თამარ ხურციძეს,** სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: **ქალაქი თერჯოლა, ქუჩა რუსთაველი №109**, მომმართა: **დათო არაბიძემ და ნიკოლოზი ბოგვერაძემ.**

**მათ წარმოადგინეს შეთანხმების აქტი** (სპფ. ეწერი 10.04.2019 წ. მხარეები: სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ეწრის საჯარო სკოლა (შემსყიდველი) დირექტორი დათო არაბიძე და ფ/პ ნიკოლოზი ბოგვერაძე. რომლითაც შევიდა ცვლილება 2019 წლის 15 მარტს დადებულ №7 ხელშეკრულებაში და ასევე გაგრძელდა) **ქართულ ენაზე, ერთ გვერდზე, ერთ ეგზემპლარად და მოითხოვეს მასზე თავიანთი ორი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.**

შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად: **დათო არაბიძემ** (დაბადებული 18.11.1960 წ. პირადი №21001007428, მცხ: თერჯოლა, ს. ეწერი) და **ნიკოლოზი ბოგვერაძემ** (დაბადებული 13.08.1963 წ. პირადი №21001013705, მცხ: თერჯოლა, ს. ეწერი) მომმართეს. შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

**ხელმომწერ პირებს განვუმარტე, რომ მე, საქართველოს ნოტარიუსი თ. ხურციძე არ ვამოწმებ მათ (ხელმომწერი პირების) უფლებამოსილებას, არ ვადასტურებ წარმოდგენილ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ ვაგებ მათზე. შემდეგ მათ ჩემი, საქართველოს ნოტარიუს თ. ხურციძის თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წარმოდგენილ დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.**

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **6.00** /ექვსი/ **ლარი,** მათ შორის: **4.00** /ოთხი/ **ლარი,** თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა და **2.00** /ორი/ **ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური,** თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: თამარ ხურციძე

ნოტარიუსი NOTARY TAMARI KHURTSIDZE 01011066754 GEORGIA საქართველო